

მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსი
განათლების საერთაშორისო სტანდარტი
იანვარი 2021

საერთაშორისო სტანდარტი განათლებისთვის

მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის საერთაშორისო სტანდარტი განათლებისთვის სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტია, რომელიც შემუშავდა, როგორც მსოფლიო-ანტი დოპინგური პროგრამის ნაწილი. კოდექსი შეიქმნა მხარეებთან კონსულტაციით, საზოგადოებრივი ავტორიტეტების, და შესაბამისი საკითხით დაინტერესებული სხვა მხარეების დახმარებით.

საერთაშორისო სტანდარტი განათლებისთვის პირველად მიღებულ იქნა და დამტკიცდა მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მსოფლიო კონფერენციაზე "დოპინგი სპორტში" კატოვიცეში 7 ნოემბერს 2019 წელს და ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან.

სარჩევი

პირველი ნაწილი: შესავალი, კოდექსის დებულებები, საერთაშორისო სტანდარტის დებულებები და განსაზღვრებები.....	3
1.0 შესავალი და მასშტაბი.....	3
2.0 კოდექსის დებულებები.....	5
3.0 განსაზღვრებები და ინტერპრეტაცია.....	5
მეორე ნაწილი : სტანდარტები განათლებისთვის	13
4.0 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა	14
5.0 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.....	17
6.0 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება	19
მესამე ნაწილი : ფუნქციები და პასუხისმგებლობები, თანამშრომლობა და მხარეთა ვალდებულებები.....	20
7.0 მხარეების ფუნქციები & პასუხისმგებლობები	20
8.0 თანამშრომლობა და აღიარება სხვა პასუხისმგებელი მხარეების.....	24
9.0 ვალდებულებები.....	25

პირველი ნაწილი : შესავალი, კოდექსის დებულებები, საერთაშორისო სტანდარტის დებულებები და განსაზღვრებები

1.0 შესავალი და მასშტაბი

მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის საერთაშორისო სტანდარტი განათლებისთვის სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტია, რომელიც შემუშავდა, როგორც მსოფლიო-ანტი დოპინგური პროგრამის ნაწილი.

განათლების საერთაშორისო სტანდარტის ძირითადი სახელმძღვანელო მიზანია ხელი შეუწყოს სპორტული სულის დაცვას, როგორც ეს მოცემულია კოდექსში და იზრუნოს სუფთა სპორტულ გარემოზე. დადასტურებულია, რომ სპორტმენთა აბსოლუტურ უმრავლესობას სურს მთლიანად სუფთა სპორტული გარემო, სადაც სპორტმენს არ ექნებათ განზრახვა, რომ გამოიყენონ აკრძალული ნივთიერებები ან მეთოდები და ქონდეთ უფლება იასპარეზონ თანაბარ პირობებში.

განათლება, როგორც ერთ-ერთი ხაზგასმული პრევენციული სტრატეგია კოდექსი, ცდილობს დანერგოს ფასეულობები სუფთა სპორტული გარემოსთვის და ხელი შეუწყოს პრევენციას დოპინგის გამოყენების სპორტსმენის ან სხვა პირების მიერ. განათლების საერთაშორისო სტანდარტის მთავარი პრინციპია, რომ სპორტსმენის პირველი გამოცდილება ანტი-დოპინგთან იყოს განათლებისას და არა დოპინგ-კონტროლისას.

განათლების საერთაშორისო სტანდარტს სამი (3) ძირითადი მიზანი აქვს დასახული შედეგის მისაღწევად.

პირველი მიზანი არის სავალდებულო სტანდარტების დადგენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მხარეებს დაგეგმვაში, ეფექტური სასწავლო პროგრამების განხორციელებაში, მონიტორინგში და სასწავლო პროგრამის ეფექტურობის შეფასებაში, როგორც ეს მითითებულია 18 მუხლში.

კოდექსი, განათლების საერთაშორისო სტანდარტი და განათლების სახელმძღვანელო პრინციპები შეესაბამება იმგვარად, რომ კოდექსიში გამოიკვეთოს განათლების სისტემა, განათლების საერთაშორისო სტანდარტი განსაზღვრავს იმ პრინციპებსა და მინიმალურ სტანდარტებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამება, ხოლო განათლების სახელმძღვანელო პრინციპები ხელს შეუწყობს მხარეებს მათი განათლების პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში.

განათლების საერთაშორისო სტანდარტის მეორე მიზანია:

- ა) ტერმინოლოგიის განმარტებები განათლების სფეროში
- ბ) ყველა იმ მხარის როლებისა და პასუხისმგებლობის სიცხადე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან განათლების პროგრამის დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში

განათლების საერთაშორისო სტანდარტის მესამე ამოცანაა ხელი შეუწყოს მხარეებს მაქსიმალურად გამოიყენონ მათი რესურსები ამ მიმართულებით:

- ა) მოითხოვს მხარეებისგან შექმნან საგანმანათლებლო ბაზა, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს სპორცმენების რეგისტრირებულ ტესტირების ბაზას და სანქცირებული სპორცმენების ბაზა, რომლებსაც გასდით დისკვალიფიკაციის ვადა.
- ბ) მხარეთათვის ხელშეწყობა სხვებთან თანამშრომლობისთვის, მათი საგანმანათლებლო აქტივობების კოორდინაცია , დუბლირების შემცირების მიზნით.
- გ) მხარეთა წახალისება, განიხილონ უფრო ფართო პოპულაციის სწავლების სარგებელი ღირებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით, სპორტული სულის დანერგვით და სპორტული გარემოს განვითარების მიზნით.
- დ) ხელი შეუწყოს მხარეებს, რომ ჩაერთონ და გამოიყენონ სხვათა რესურსები და გამოცდილება, მთავრობების , მკვლევარების და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩათვლით.

2.0 კოდექსის დებულებები

2021 წლის კოდექსის შემდეგი სტატიები უშუალოდ ეხება განათლების საერთაშორისო სტანდარტს, მათი მიღება მიღება შესაძლებელია თვითონ კოდექსიდანვე:

- შესავალი
- კოდექსის 18 მუხლი განათლება
- კოდექსის 20 მუხლი მხარეების და მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს დამატებითი ფუნქციები და პასუხისმგებლობები.
- კოდექსის 21 მუხლი სპორტმენების და სხვა პირების დამატებითი ფუნქციები და პასუხისმგებლობები

3.0 განმარტებები და ინტერპრეტაცია

3.1 2021 კოდექსიდან განსაზღვრული ტერმინები, რომლებიც გამოიყენება განათლების საერთაშორისო სტანდარტში

ADAMS: ანტი-დოპინგური ადმინისტრირება და მართვის სისტემა არის მონაცემთა შეყვანის, შენახვის, გაზიარებისა და ანგარიშგების მონაცემთა ბაზის მართვის ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს დაინტერესებულ მხარეებსა და მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) დახმარებას მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან ერთად.

ანტი-დოპინგური ორგანიზაცია: WADA ან მხარე, რომელიც პასუხისმგებელია დოპინგის კონტროლის პროცესის ნებისმიერი ნაწილის ინიცირების, განხორციელების ან ძალაში მოყვანის წესების მიღებაზე. ეს მოიცავს, მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტს, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტს, სხვა ძირითადი სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორ ორგანიზაციებს, რომლებიც ატარებენ ტესტირებას მათივე ღონისძიებებზე, საერთაშორისო ფედერაციებს, და ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებს.

სპორტსმენი: ნებისმიერი ადამიანი, რომელიც საერთაშორისო დონეზე ასპარეზობს სპორტში (განსაზღვრული თითოეული საერთაშორისო ფედერაციის

მიერ) ან ნაციონალურ დონეზე (როგორც ამას განსაზღვრავს თითოეული ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია) . ანტი-დოპინგის ორგანიზაციას აქვს შეხედულებისამებრ, გამოიყენოს დოპინგის საწინააღმდეგო წესები სპორტმენზე, რომელიც არც საერთაშორისო დონის სპორტსმენია და არც ეროვნული დონის სპორტსმენი და, ამრიგად ის "სპორტსმენის" განმარტებაში უნდა მოიაზროს. რაც შეეხება სპორტსმენებს, რომლებიც არც საერთაშორისო დონის და არც ეროვნული დონის სპორტსმენებია, ანტი-დოპინგის ორგანიზაციას შეუძლია აირჩიოს: ჩატარდეს შეზღუდული ტესტირება ან საერთოდ არ ჩატარდეს ტესტირება; გაანალიზდეს ნიმუშები არა სრული აკრძალული ნივთიერებების სიით; მოითხოვოს ლიმიტირებული ინფორმაცია დანიშნულებაზე ან საერთოდ არ მოითხოვოს, ან არ საჭიროებდეს წინასწარ TUE-ს.

ამასთან, თუ ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ აირჩია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სპორტსმენი შესამოწმებლად, რომელიც ასპარეზობს საერთაშორისო და ნაციონალურ დონეზე დაბლა და აღმოჩნდა 2.1 , 2.3 ან 2.5 ანტი-დოპინგური წესის დარღვევა, ამ შემთხვევაში სპორტმენზე იმოქმედებს კოდექსში მოცემული შესაბამისი სანქციები.

2.8 და 2.9 მუხლებისთვის და ანტი-დოპინგური ინფორმაციის და განათლებისთვის, ნებისმიერი პიროვნება, რომელიც იღებს მონაწილეობას სპორტში, რომელიმე მხარის, სახელმწიფოს ან სპორტული ორგანიზაციის წარმომადგენლობით და რომელიც ეთანხმება კოდექს მიიჩნევა სპორტმენად.

[კომენტარი სპორტსმენისთვის: პირები, რომლებიც ასპარეზობენ სპორტში შეიძლება დაიყონ ხუთ კატეგორიად :

- 1) საერთაშორისო დონის სპორტსმენი
- 2) ეროვნული დონის სპორტსმენი
- 3) პირები, რომლებიც არ არიან არც საერთაშორისო დონის სპორტსმენები, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ ან ეროვნულმა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ გამოიყენა მისი უფლებამოსილება და შეამოწმა
- 4) რეკრეაციული სპორტსმენი

5) პირები, რომლებიც არც
საერთაშორისო და არც ეროვნულ
ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას
არ შეუმოწმებიათ.

საერთაშორისო და ეროვნული დონის ყველა სპორტსმენი ექვემდებარება კოდექსის ანტიდოპინგურ წესებს, საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტის ზუსტი განმარტებებით, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო ფედერაციებისა და ანტიდოპინგური ეროვნული ორგანიზაციების ანტი-დოპინგის წესებში.]

სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტი: მონაცემების შეგროვების პროგრამა და მეთოდები, როგორც ეს აღწერილია საერთაშორისო სტანდარტში ტესტირების და გამოძიებისთვის და ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტით.

სპორტსმენის დამხმარე პერსონალი: ნებისმიერი გუნდის ხელმძღვანელი, მწვრთნელი, გუნდის მენეჯერი, აგენტი, გუნდის პერსონალი, ოფიციალური წარმომადგენელი, სამედიცინო, პარა სამედიცინო პერსონალი, მშობელი ან სხვა პირი, რომელიც მუშაობს, მკურნალობს ან ეხმარება სპორტსმენს, რომელიც მონაწილეობს ან ემზადება სპორტული შეჯიბრისთვის.

კოდექსი: მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსი.

შეჯიბრი: ერთჯერადი შეჯიბრი, მატჩი,თამაშები, მეტოქეობა, ასპარეზობა.

დოპინგ კონტროლი: ყველა ნაწილი და პროცესი, დაწყებული ტესტის დაგეგმვიდან, ნებისმიერი გასაჩივრების საბოლოო განხორციელებამდე და შედეგების აღსრულება, მათ შორის ყველა ნაწილის და პროცესის ჩათვლით, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ტესტირებით, ასევე გამოძიება, ადგილსამყოველი, TUE, სინჯების აღება და გადატანა, ლაბორატორიული ანალიზები, შედეგების მენეჯმენტი, მოსმენების და საჩივრების განხილვა და გამოძიება ან სამართალ წარმოება, რომელიც ეხება 10.14-ე მუხლის დარღვევას (სტატუსი არასაიმედობის ან დროებითი შეჩერების დროს).

განათლება: პროცესი, რომლის დროსაც ხდება ღირებულებების და ქცევების განვითარება, სპორტული სულის დაცვა, და პრევენცია განზრახ და უნებლიო დოპინგის მიღებისგან.

ლონისძიება: ინდივიდუალური შეჯიბრების სერია, რომლებიც ერთ მმართველ ორგანოსთან ერთად ტარდება (მაგ: ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატები საერთაშორისო ფედერაციების, ან პან ამერიკული თამაშები.)

ლონისძიების ადგილმდებარეობა : ის ადგილები, რომლებიც განსაზღვრულია მმართველი ორგანოს მიერ ღონისძიებისთვის.

საერთაშორისო ღონისძიება : ღონისძიება ან კონკურსი , სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარა ოლიმპიური კომიტეტი , საერთაშორისო ფედერაციები, ძირითადი ღონისძიებების ორგანიზაციები, ან სხვა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია წარმოადგენს ღონისძიების მმართველ ორგანოს ან დანიშნავს წარმომადგენლებს ღონისძიებისთვის.

საერთაშორისო დონის სპორტსმენი : სპორტსმენები, რომლებიც ასპარეზობენ სპორტში საერთაშორისო დონოზე, როგორ განსაზღვრულია თითოეული საერთაშორისო ფედერაციის მიერ, შეესაბამება ტესტირების საერთაშორისო სტანდარტს და გამოძიებებს.

[კომენტარი: ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, საერთაშორისო ფედერაცია თავისუფალია განსაზღვროს ის კრიტერიუმები , რომელსაც გამოიყენებს საერთაშორისო დონის სპორტსმენის მინიჭებისთვის. მაგალითად რანჟირების გზით , კონკრეტულ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობით, ლიცენზიის ტიპის მიხედვით და ა.შ. ამასთან , მან უნდა გამოაქვეყნოს ეს კრიტერიუმები მკაფიოდ და ლაკონურად, ისე, რომ სპორტსმენებს ექნებათ შესაძლებლობა სწრაფად და მარტივად დაადგინონ როდის გახდებიან საერთაშორისო დონის სპორტსმენები. მაგალითად, თუ კრიტერიუმები მოიცავს გარკვეულ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას, მაშინ საერთაშორისო ფედერაციამ უნდა გამოაქვეყნოს ამ საერთაშორისო ღონისძიებების სია.]

საერთაშორისო სტანდარტი: WADA –ს მიერ მიღებული სტანდარტი კოდექსის მხარდასაჭერად . საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობა საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ დავასკვნათ სწორად შესრულდა თუ არა პროცედურები. საერთაშორისო სტანდარტები უნდა შეიცავდნენ ტექნიკურ დოკუმენტებს , რომლებიც გაიცემა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ძირითადი ღონისძიებების ორგანიზაციები: ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კონტინენტური გაერთიანებები და სხვა მრავალ პროფილური სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც ფუნქციონირებენ მმართველ ორგანოს ნებისმიერი კონტინენტური, რეგიონალური ან სხვა საერთაშორისო ღონისძიებებზე.

არასრულწლოვანი : ფიზიკური პირი, რომლსაც არ მიუღწევია თვრამეტი წლის ასაკისთვის.

ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია : თითოეული ქვეყნის მიერ არჩეული ორგანიზაცია, როგორც პირველი უფლებამოსილი და პასუხისმგებელი , მიიღოს და განახორციელოს ანტი-დოპინგური წესები , გააკეთოს სინჯები, ტესტის შედეგების მენეჯმენტი და მოსმენის ჩატარება ეროვნულ დონეზე. თუ ორგანიზაცია არ იქნა არჩეული კომპეტენტური საჯარო პირის (ეზის) მიერ, მაშინ ეს ორგანო უნდა იყოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ან მისი დანიშნული პირი.

ეროვნული ღონისძიება : სპორტული ღონისძიება ან შეჯიბრი , რომელიც მოიცავს საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტმენების ასპარეზობას , რომელიც არ წარმოადგენს საერთაშორისო მოვლენას.

ეროვნული დონის სპორტსმენი: სპორტმენები, რომლებიც ასპარეზობენ ეროვნულ დონეზე, როგორც ამას განსაზღვრავს ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, შესაბამისი ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი : საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული ორგანიზაცია . ტერმინი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ასევე შეიძლება მოიცავდეს ეროვნულ სპორტულ კონფედერაციას, იმ ქვეყნებში,

სადაც ეროვნული სპორტული კონფედერაცია ასრულებს ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის ფუნქციებს ანტი-დოპინგური ჩარჩოში.

პირი: ფიზიკური პირი , ორგანიზაცია ან სხვა პირი.

ანტი-დოპინგური რეგიონალური ორგანიზაცია : წევრი სახელმწიფოების მიერ დანიშნული რეგიონალური ერთეული, რომელიც ვალდებულია დაარეგულიროს და მართოს დელეგირებული ტერიტორიები მისი ანტი-დოპინგური პროგრამებით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ანტი-დოპინგური წესების მიღებას და განხორციელებას, სინჯების დაგეგმვას და აღებას, შედეგების მენეჯმენტს, TUE-ების მიმოხილვას. მოსმენების და საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარება რეგიონალურ დონეზე.

რეგისტრირებული ტესტების ჯგუფი: უმაღლესი პრიორიტეტის ათლეტების ჯგუფი, აღიარებული საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო ფედერაციების და ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციების მიერ. ისინი არიან დაკვირვების ობიექტები საშეჯიბრო და არა საშეჯიბრო ტესტირებებში , როგორც საერთაშორისო ფედერაციების და ანტი-დოპინგური ორგანიზაციების ტესტების განაწილების გეგმის ნაწილი, შესაბამისად ვალდებულნი არიან მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია ადგილსამყოფელის შესახებ, როგორც ეს მოცემულია საერთაშორისო ტესტირების და გამოძიების სტანდარტის 5.5 მუხლში.

ხელმომწერები: ის პირები, რომლებიც მიიღებენ კოდექსს და თანხმდებიან კოდექსის შესრულებაზე, როგორც ეს მოცემულია 23-ე მუხლში.

მკაცრი პასუხისმგებლობა : წესი, რომელიც გულისხმობს 2.1 და 2.2 მუხლით, რომ არ არის აუცილებელი ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ წარმოადგინოს სპორტსმენის მიერ ანტი-დოპინგური წესის დარღვევის მიზეზი, იქნება ეს სპორტსმენის მიმართ გაცნობიერებული განხზრახვა, ხარვეზი, გულგრილობა , დაუდევრობა თუ ცოდნის არ ქონა.

გუნდური სპორტი: გუნდური სპორტი, რომელშიც შეჯიბრის დროს ნებადართულია მოთამაშეთა ჩანაცვლება.

ტესტირება: დოპინგ- კონტროლის პროცესები, რომლებიც მოიცავს : ტესტის განაწილების დაგეგმვას, სინჯების აღებას, ნიმუშების გამოყენებას და ლაბორატორიაში ტრანსპორტირებას.

თერაპიული გამოყენების ნებართვა [TUE] : თერაპიული გამოყენების ნებართვა სპორტმენს სამედიცინო პრობლემით, უფლებას აძლევს გამოიყენოს აკრძალული ნივთიერება ან მეთოდი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში , თუ 4.4 მუხლში მითითებული პირობებს და თერაპიული გამოყენების ნებართვის საერთაშორისო სტანდარტში მოცემულ პირობებს აკმაყოფილებს კონკრეტული სპორტსმენის სამედიცინო მდგომარეობა.

WADA: მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო.

3.2 განსაზღვრული პირობები კოდექსის საერთაშორისო სტანდარტის დაცვისთვის.

კოდექსის შესაბამისობა : შესაბამისობა კოდექსში ან/და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში ყველა მოთხოვნასთან, აგრეთვე სხვა მოთხოვნებს, რომელიც დაკისრებულია WADA-ს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ A.3[®] მუხლის შესაბამისობაში.

3.3 განსაზღვრული ტერმინები ანტი-დოპინგური განათლების საერთაშორისო სტანდარტისთვის .

ანტი-დოპინგური განათლება: ანტი-დოპინგურ თემებზე ტრენინგის ჩატარება, იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს კომპეტენციები სუფთა სპორტული ქცევის სფეროში და მიღებული იქნას ინფორმირებული გადაწყვეტილებები .

ცნობიერების ამაღლება : სუფთა სპორტთან დაკავშირებული თემების და საკითხების ხაზგასმა.

განათლების გეგმა: დოკუმენტი, რომელიც მოიცავს: სიტუაციის შეფასებას, განათლების ჯგუფის იდენტიფიკაციას, ობიექტებს, განათლებით აქტივობებს და პროცესების მონიტორინგს, როგორც ეს გათვალისწინებულია 4 მუხლში.

განათლების ჯგუფი: მიზნობრივი ჯგუფების სია, რომელიც გამოვლინდა შეფასების სისტემის პროცესის შედეგად.

საგანმანათლებლო პროგრამა: პასუხისმგებელი ორგანოს მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო აქტივობები, სასწავლო მიზნების მისაღწევად.

განმანათლებელი: პირი, რომელიც გადამზადებულია განათლების მიწოდებისთვის, რომელსაც ენდობა პასუხისმგებელი ორგანო.

ღონისძიებაზე დაფუძნებული განათლება: ნებისმიერი ტიპის საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ტარდება ღონისძიებაზე ან დაკავშირებულია მასთან.

სახელმძღვანელო განათლების შესახებ: არასავალდებულო დოკუმენტი მსოფლიო ანტი-დოპინგური პროგრამის, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის მიმართულებას განათლების პასუხისმგებელი ორგანიზაციებისთვის მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ.

ინფორმაციის მიწოდება : სუფთა სპორტთან დაკავშირებული ზუსტი და ახალი ინფორმაციის შექმნა.

პრევენცია: გულისხმობს ინტერვენციებს, რომლებიც ხელს უშლიან დოპინგის არსებობას. პრევენციის ძირითადი ოთხი სტატეგია არსებობს : განათლება , შეფერხება, გამოვლინება და აღსრულება.

ღირებულებებზე დაფუძნებული განათლება: ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდის პიროვნულ ფასეულობების და პრინციპების შემუშავებას. ეს ეხმარება მსწავლელს მიიღოს ეთიკური გადაწყვეტილებები.

3.4 ინტეგრაცია

3.4.1 ოფიციალური ტექსტი განათლების საერთაშორისო სტანდარტის უნდა დაიბეჭდოს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ინგლისურ და ფრანგულ ვარიანტს შორის რაიმე სახის უთახმოების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭოს ინგლისურ ვარიანს.

3.4.2. კოდექსის მსგავსად, შედგენილია განათლების საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს პროპორციულობის, ადამიანის უფლებების და სხვა მოქმედი სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებას.

3.4.3 კომენტარები განათლების საერთაშორისო სტანდარტის სხვადასხვა დებულებებზე შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც გზამკვლევი ინტერპრეტაციისთვის.

3.4.4 თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, სექციებისა და სტატიების მითითება განათლების საერთაშორისო სტანდარტის სექციებსა და სტატიებს ეხება.

მეორე ნაწილი: განათლების სტანდარტები

მიმოხილვა

კოდექსის 18.1 მუხლი მოითხოვს, რომ პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა განათლების პროგრამები დაგეგმონ, განახორციელონ, განახორციელონ მონიტორინგი და შეაფასონ მიზნები.

4, 5 და 6 მუხლები აღწერილია პასუხისმგებელი ორგანიზაციების მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია ამ სავალდებულო საქმიანობასთან.

პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ კულტურული და სპორტული კონტექსტები და მოსწავლეთა საჭიროებები საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას.

ხელმძღვრებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს შემდეგ ოთხ კომპონენტს :

- ღირებულებებზე დაფუძნებული განათლება: ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდის პიროვნული ფასეულობების და პრინციპების შემუშავებას. ეს ეხმარება მოსწავლეს მიიღოს ეთიკური ქმედების გადაწყვეტილებები.

- ცნობიერების ამაღლება : სუფთა სპორტთან დაკავშირებული თემების და საკითხების ხაზგასმა .
- ინფორმაციის მიწოდება: სუფთა სპორტთან დაკავშირებული ზუსტი და თანამედროვე შინაარსის შექმნა.
- ანტი-დოპინგური განათლება: ანტი-დოპინგურ თემებზე ტრენინგების ჩატარება, სუფთა სპორტული ქცევების დასამკვიდრებლად და ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

განათლების პროგრამაში ყველა კომპონენტი უნდა იყოს გათვალისწინებული. ყველა საქმიანობა უნდა იყოს გამყარებული ღირებულებებით, ხელი შეუწყოს სპორტის სულს.

პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა დასახონ განათლების როლი მათ ორგანიზაციებში. უნდა ქონდეთ ნათელი ხედვა თუ რა საბოლოო შედეგის მოელიან მათი განათლების პროგრამიდან. მათი ხედვა და შედეგი უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზნებს, რომელიც დასახულია განათლების პროგრამაში.

4.0 განათლების პროგრამის დაგეგმვა

განათლების პროგრამა უნდა იყოს ფაქტებით გამყარებული, როგორცაა განათლების თეორია, და სადაც შესაძლებელია სოციალური მეცნიერებათა კვლევით .

4.1 განათლების პროგრამის განვითარება

4.1.1 პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ მათი საგანმანათლებლო აქტივობები განათლების პროგრამის მიხედვით. გეგმა უნდა მიეწოდოს WADA-ს და სხვა პასუხისმგებელ ორგანიზაციებს სურვილის შემთხვევაში თანდართული მიმოხილვა/ შეჯამებით ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.

4.1.2 განათების პროგრამის შემუშავების მიზნით პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა მიყვინ შემდეგ ინსტრუქციებს: შეაფასონ არსებული სიტუაცია, შექმნან სასწავლო აუზი, დასახონ მკაფიო მიზნები და აქტივობები, ყურადღება დაეთმოს მონიტორინგის პროცესს.

4.2 არსებული სიტუაციის შეფასება

შეფასების პროცესში ყურადღება უნდა დაეთმოს:

4.2.1 სისტემის შეფასება: პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა აღწერონ ის გარემო, რომელშიც ისინი მოქმედებენ , მათ შორის სპორტული სისტემები/ სტრუქტურები ნაციონალური/ საერთაშორისო კონტექსტი.

4.2.2 მიზნობრივი ჯგუფების იდენტიფიკაცია: პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა განსაზღვრონ ყველა პოტენციური სამიზნე ჯგუფი მათი საგანმანათლებლო პროგრამისთვის. პირველ რიგში სპორტსმენები და მათი დამხმარე პერსონალი. პასუხისმგებელ ორგანიზაციებს შეუძლიათ ასევე მოიძიონ სხვა სააგენტოები/ორგანიზაციები ,რომლებსაც შეუძლიათ ან აქვთ პოტენციალი იყვნენ პასუხისმგებლები განათლების მიწოდებაზე.

4.2.3 რესურსები: პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა განსაზღვრონ ადამიანური, ფინანსური და მატერიალური შესაძლო რესურსები , რომლებიც ხელმისაწვდომია ან პოტენციურად ხელმისაწვდომია თავიანთი საგანმანათლებლო პროგრამის მხარდასაჭერად.

4.2.4 არსებული საგანმანათლებლო აქტივობები: პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა აღწერონ მათი ყველა მიმდინარე საგანმანათლებლო აქტივობები.

4.3 სასწავლო აუზის დაგეგმვა

4.3.1 4.2.2 ში განსაზღვრული სამიზნე ჯგუფებიდან, პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა შეარჩიონ პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფები, რომლებიც შედიან განათლების აუზში.

4.3.2 სპორტსმენები : პასუხისმგებელი ორგანიზაციები განიხილავენ სპორტსმენებს, რომლებიც ექვემდებარებიან ანტი-დოპინგურ წესებს მათი სასწავლო აუზში ჩართვისას. პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა თავიანთ სასწავლო აუზში უნდა

შეიყვანონ სპორტსმენები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ანტი-დოპინგური ტესტირების ჯგუფში და ასევე სანქციებიდან დაბრუნებული სპორტსმენები.

პასუხისმგებელ ორგანიზაციებს მკაცრად მოუწოდებენ, რომ უზრუნველყონ თავიანთი განათლების აუზში ჩართული იყოს სპორტსმენების ფართო სპექტრი, ან დასაბუთებულად განმარტოს ჩაურთველობა, როგორც ეს მოცემულია 4.3.4 მუხლში. ეს მხარს უჭერს პრინციპს, რომ სპორტსმენის პირველი შეხება ანტი-დოპინგთან იყოს განათლების გზით და არა დოპინგ-კონტროლით.

4.3.3 სპორტსმენების დამხმარე პერსონალი : 21.2 მუხლის თანახმად, სპორტსმენის დამხმარე პერსონალის პასუხისმგებლობაა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა, იცოდეს და დაიცვას ანტი-დოპინგის ყველა წესი და პოლიტიკა, გამოიყენოს მათი გავლენა სპორტსმენის ფასეულობებზე და ქცევებზე, რომლებიც ხელს უწყობს ანტი-დოპინგთან დამოკიდებულებას.

პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა განიხილონ სპორტსმენთა დამხმარე პერსონალი, რომელიც მოცემულია 4.3.2 მუხლში მითითებულ სასწავლო აუზში. სპორტსმენთა ყველაზე გავლენიან პერსონალს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი. პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სპორტსმენის დამხმარე პერსონალს ექონდეს წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ გააცნობიერონ მათი როლი და პასუხისმგებლობა და დადებითად იმოქმედონ სპორტსმენზე.

როგორც კოდექსშია დადგენილი, ამ ჯგუფის შემადგენლობაში განიხილება შემდეგი კატეგორიები: მწვრთნელები, ტრენერები, მენეჯერები, აგენტები, გუნდის პერსონალი, წარმომადგენელები, მედიკოსები/პარამედიკოსები, მშობლები ან სხვა პირები, რომლებიც მუშაობენ, მკურნალობენ ან ეხმარებიან სპორტსმენს შეჯიბრებაში ან შეჯიბრისთვის მომზადებაში.

4.3.4 თუ არსებობს სპორტსმენების ან სპორტსმენების დამხმარე პერსონალი, რომელიც არ შედის განათლების აუზში, ხელმომწერებმა უნდა წარმოადგინონ დასაბუთება, თუ რატომ არ შევიდნენ და როგორ განიხილება ეს სამომავლოდ.

4.3.5 სხვა მიზნობრივი ჯგუფები : არა მხოლოდ სპორტსმენები და სპორტსმენების დამხმარე პერსონალი, ასევე სხვა სამიზნე ჯგუფები უნდა ჩაითვალოს დაგეგმვის პროცესის ნაწილად, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ:

- ბავშვები და ახალგაზრდები
- მასწავლებლები

- უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები
- სპორტის ადმინისტრატორები
- კომერციული სპონსორები
- მედია პერსონალი
- სხვა პიროვნებები, რომლებსაც პასუხისმგებელი ორგანიზაცია ჩათვლის საჭიროდ

4.3.6 განათლების აუზი : იდენტიფიცირებისა და პრიორიტეტების არჩევის , ხელშემწყობი რესურსებისა და შესაძლებლობების საფუძველზე, პასუხისმგებელმა ორგანიზაციემ უნდა შეარჩიონ ისინი , ვინც იქნებიან ჩართულნი მათ საგანმანათლებლო აუზში, და დაასაბუთონ ეს თავიანთ სასწავლო გეგმაში.

4.4 ამოცანები და აქტივობები

სასწავლო გეგმაში უნდა იყოს მითითებული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზნები, სპეციფიკური მიზნები და გაწერილი ვადები მიზნობრივი ჯგუფებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან სასწავლო აუზში. ყველა მიზანი უნდა იყოს განსაზღვრული და დროში გაწერილი.

4.5 მონიტორინგი

სასწავლო გეგმა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის საქმიანობის მონიტორინგის პროცედურებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ანგარიშგებას და მუდმივ გაუმჯობესებას.

5.0 სასწავლო გეგმის დანერგვა

5.1 ღირებულებებზე დაფუძნებული განათლების ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ განსაკუთრებით ბავშვები და ახალგაზრდები სკოლის და/ან სპორტული კლუბის პროგრამების საშუალებით , შესაბამის ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

5.2 პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა განათავსონ მოცემული თემები მათ საგანმანათლებლო პროგრამაში, როგორც ეს მოცემულია 18.2 მუხლში. თემები და შინაარსი უნდა იყოს მორგებული მიზნობრივ აუდიტორიის საჭიროებებისთვის. ამ თემებთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი :

- სუფთა სპორტთან ასოცირებული პრინციპები და ღირებულებები

- სპორტსმენები, სპორტსმენების დამხმარე პერსონალი და სხვა ჯგუფები, მათი კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობები ;
- მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპი;
- დოპინგის შედეგები, მაგ : ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, სოციალური და ეკონომიკური ეფექტები , სანქციები;
- ანტი-დოპინგური წესების დარღვევა;
- აკრძალულ სიაში არსებული ნივთიერებები და მეთოდები;
- დანამატის გამოყენების რისკები;
- მედიკამენტების და თერაპიის გამოყენების გამონაკლისები;
- ტესტირების პროცედურები , მათ შორის შარდი, სისხლი და სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტი;
- მოთხოვნები რეგისტრირებული ტესტირებების ჯგუფისთვის, მათ შორის ადგილმდებარეობა და ADAM-ის გამოყენება;
-

5.3 ზემოთ მოცემული 5.2 მუხლის თემებზე განათლება უნდა იყოს

გათვალისწინებული რეგისტრირებულ ტესტირების ჯგუფში სრულად.

5.4 პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან სტრუქტურა , რომელიც

განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს თითოეული მიზნობრივი ჯგუფისთვის. ამ განსაზღვრული სასწავლო მიზნებით მოსწავლე გაიგებს "რისი უნდა ემინოდეს", " გაიგოს" და " რისი გაკეთება შეუძლია" თითოეული თემისთვის. კომპეტენციები და უნარები არის ის , რაც მოსწავლემ უნდა აჩვენოს მათი განვითარების თითოეულ ეტაპზე.

5.5 პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა მოარგონ სასწავლო აქტივობები

შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციფიკური საჭიროების მქონე მოსწავლეების ჯგუფს.

5.6 ასევე 5.4 მუხლი ვრცელდება არასრულწლოვნებზე , რომელთათვისაც

მორგებულია სასწავლო აქტივობები და სასწავლო დონე განვითარების ეტაპზე და აკმაყოფილებს შესაბამის სამართლებრივ მოთხოვნებს.

5.7 პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა აირჩიონ სათანადო აქტივობები , რათა

მიაღწიონ სასწავლოს გეგმის მიზნებს. ინფორმაციის გზები შეიძლება იყოს, პირისპირ სესიები , ელექტრონული სწავლება, ბროშურები, საინფორმაციო კუთხე, ვებსაიტი და ა.შ., როგორც ეს აღწერილია სახელმძღვანელოში განათლების შესახებ.

5.8 პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა განსაზღვრონ პედაგოგები , რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან პირისპირ განათლების მიწოდებაზე. პედაგოგები უნდა იყვნენ კომპეტენტურები ღირებულებებზე დაფუძნებულ განათლებაში და ყველა თემაში , რომელიც გამოყოფილია 18.2 კოდექსით, საერთაშორისო სტანდარტით განათლებისთვის და განათლების სახელმძღვანელოთი.

5.9 პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა ჩართონ სპორტსმენები განათლების გეგმის დაგეგმვის და შემუშავების პროცესში, რათა უზრუნველყონ აქტივობები სპორტსმენების განვითარების ეტაპზე. პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა შეძლებისდაგვარად უნდა შეძლონ ჩართონ სპორტსმენები განათლების გაზიარების აქტივობებში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

[კომენტარი მე -5 მუხლთან დაკავშირებით: პასუხისმგებელი ორგანიზაციების დასახმარებლად, WADA გთავაზობთ განათლების ინსტრუმენტების სრულ კომპლექტს სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების მიღწევაში.]

6.განათლების პროგრამების შეფასება

6.1 პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ მათი განათლების პროგრამა ყოველწლიურად. შეფასება უნდა მიაესადაგებოდეს მიმდინარე წლის სასწავლო გეგმას. შეფასების დასკვნა უნდა მიეწოდოს WADA-ს მოთხოვნის საფუძველზე, მიმოხილვა/ მოკლე შინაარსი ინგლისურ/ფრანგულ ენაზე.

6.2 შეფასება უნდა დაეფუძნოს ყველა ინფორმაციას და მონაცემებს, რომლებიც ეხმიანება საგანმანათლებლო გეგმაში სპეციფიკურ მიზნებს და განსაზღვრავს, თუ რამდენად მიაღწიეს ამ მიზნებს.

6.3 თუ შესაძლებელია, პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა უნდა მოიძიონ პარტიონერი აკადემიურ სფეროში ან სხვა კვლევით ინსტიტუტებთან , რათა უზრუნველყონ შეფასებისა და კვლევების მიზნების დახმარება.

[კომენტარი 6.3 მუხლზე: WADA გთავაზობთ სოციალურ მეცნიერებათა კვლევების მტკიცებულებებს , როგორც პროგრამის შეფასებისთვის , ასევე საგანმანათლებლო აქტივობების დიზაინისთვის.]

მესამე ნაწილი: ფუნქციები და პასუხისმგებლობები, თანამშრომლობა და მხარეთა ვალდებულებები

7.0 მხარეთა ფუნქციები & პასუხისმგებლობები

7.1 მიმოხილვა

7.1.1 კოდექსის 18.1 მუხლში ნათქვამია: “ ყველა პასუხისმგებელი ორგანიზაცია ვალდებულია პასუხისმგებლობის ფარგლებში და ერთმანეთთან თანამშრომლობით შეიმუშაოს, დაგეგმოს, განახორციელოს მონიტორინგი და შეაფასოს და შეუწყოს ხელი საგანმანათლებლო პროგრამებს, განათლების საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში.”

მესამე ნაწილის მიზნებია :

- ა) უზრუნველყოს თითოეული პასუხისმგებელი ორგანიზაციის ძირითადი პასუხისმგებლობის საკითხები.
- ბ) ასახოს, თუ როგორ შეიძლება თანამშრომლობით მინიმუმამდე დაყვანილ იქნას დუბლირება და მაქსიმალური ძალისხმევა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის გასაზრდელად
- გ) შეაჯამოს ის მოთხოვნები , რომლებიც საჭიროა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამისთვის , რომელზედაც პასუხისმგებელი ორგანიზაციები იქნებიან პასუხისმგებლები.

7.2 ნაციონალური ანტი-დოპინგური ორგანიზაციები

7.2.1 თითოეული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია უნდა იყოს უფლებამოსილი განათლებაზე, რადგან ეს ეხება სუფთა სპორტს თავიანთ ქვეყანაში. ეროვნულმა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ პრინციპს, რომ სპორტსმენთა პირველი გამოცდილება ანტი-დოპინგთან დაკავშირებით უნდა იყოს განათლების გზით, და არა დოპინგ-კონტროლის გზით.

7.2.2 თითოეულმა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამა მათი უფლებამოსილების ქვეშ მოქცეულ პირთათვის და მათ სასწავლო აუზში. ნაციონალურმა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას სამუშაო დოკუმენტი იმისთვის , რომ ნათლას აჩვენოს , თუ როგორ

განხორციელება და მონიტორინგდება მათი განათლების პროგრამა. ანტი-დოპინგური ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველწლიურად შეაფასონ მათი საგანმანათლებლო პროგრამები .

7.2.3 გარდა ამისა, ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებს შეიძლება ჰქონდეთ როლი საგანმანათლებლო შემდეგ საკითხებში:

ა) საერთაშორისო დონის სპორტსმენებთან შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებთან თანამშრომლობით;

ბ) ახალგაზრდა სპორტსმენები ნაციონალურ ფედერაციებთან თანამშრომლობით;

გ) ბავშვები და ახალგაზრდები სასკოლო და / ან სპორტული კლუბების პროგრამების საშუალებით, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, რაც შეიძლება მოიცავდეს ფასეულობებზე დაფუძნებული განათლების არსებულ განათლებასთან ან სპორტულ სისტემაში ინტეგრაციის პროცესს;

7.2.4 კოდექსის 20.3.13 პუნქტის თანახმად , საერთაშორისო ფედერაციები ითხოვენ, რომ ნაციონალურმა ფედერაციებებმა ჩაატარონ განათლების პროგრამა ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციასთან კოორდინაციით, და იყვნენ ჩართულნი, როგორც ძირითადი პარტნიორი და მხარი დაუჭიროს ამ ფუნქციას ეროვნული ანტი-დოპინგურ სააგენტოს მიერ.

7.2.5 ნაციონალური ანტი-დოპინგური ორგანიზაციები, რომლებიც არიან რეგიონალური ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ქსელის ნაწილი, ყოველწლიურად უნდა წარუდგინონ მათი საგანმანათლებლო პროგრამა და მისი მიმოხილვა/ შეჯამება თავიანთ რეგიონალურ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებს.

7.3 საერთაშორისო ფედერაციები

7.3.1 საგანმანათლებლო პროგრამები მორგებული საერთაშორისო დონის სპორტსმენებზე, რომლებიც განისაზღვრება საკუთარი კრიტერიუმებით და გათვალისწინებულია კოდექსის 18.2.3 მუხლთან უნდა იყოს პრიორიტეტული საერთაშორისო ფედერაციებისთვის. თითოეული საერთაშორისო ფედერაციამ მხარი უნდა დაუჭიროს პრინციპს, რომ სპორტსმენის პირველი შეხება ანტი-დოპინგთან უნდა იყოს განათლებით, და არა დოპინგ-კონტროლის გზით.

7.3.2 თითოეული საერთაშორისო ფედერაცია შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამას მათი უფლებამოსილების ქვეშ მოქცეული პირთათვის და მათ სასწავლო აუზში. ნაციონალურმა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას სამუშაო დოკუმენტი იმისთვის , რომ ნათლას აჩვენოს , თუ როგორ განხორციელდება და მონიტორინგდება მათი განათლების პროგრამა. ანტი-

დოპინგური ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ყოველწლიურად შეაფასონ მათი საგანმანათლებლო პროგრამები .

7.3.3 საერთაშორისო ღონისძიებებზე, სადაც ჩატარდება ტესტირება და სადაც მათ აქვთ ტესტირების უფლებამოსილება, საერთაშორისო ფედერაციებმა უნდა მიაწოდონ ღონისძიებაზე დაფუძნებული განათლება. ეს უნდა გაკეთდეს ადგილობრივ ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციასთან, ან, საჭიროების შემთხვევაში, რეგიონალურ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციასთან, ეროვნულ ფედერაციასთან და ძირითადი ღონისძიებების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით. სპორტსმენებმა და სპორტსმენების დამხმარე პერსონალმა უნდა მიიღოს უნდა მიიღოს განათლება ღონისძიების დაწყებამდე, როგორც ეს მოცემულია მე-5 მუხლის შესაბამისად.

7.3.4 საერთაშორისო ფედერაცია მოითხოვს, რომ ეროვნულმა ფედერაციებმა განათლება განახორციელონ შესაბამის ანტი-დოპინგურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მე -20 მუხლის შესაბამისად.

[კომენტარი 7.3 მუხლთან დაკავშირებით : არაფერი უშლის ხელს საერთაშორისო ფედერაციებს, რომ მისცენ განათლება არა- საერთაშორისო ღონის სპორტსმენებს და სპორტსმენების დამხმარე პერსონალს. საერთაშორისო ფედერაციებს მოეთხოვებათ, რომ ღონისძიებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც განხორციელდება მათი ან სხვა პასუხისმგებელი ორგანიზაციების , ეროვნული ფედერაციების ან მესამე პირების მიერ, განხორციელდება განათლების საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.]

7.4 ღონისძიების ძირითადი ორგანიზაციები

7.4.1 ძირითადი ღონისძიებების ორგანიზაციები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უშუალოდ მათ უფლებამოსილებას წარმოადგენს, კოდექსის 20.6.8 მუხლის შესაბამისად. მოვლენებზე დაფუძნებულ განათლებას აქვს პოტენციალი მიაღწიოს ფართო აუდიტორიას მათ შორის, ფართო საზოგადოებას და მედიას, პოზიტიური ეფექტის მისაღწევად და პოზიტიურად აისახება მათზე.

7.4.2 ძირითადი ღონისძიებების ორგანიზაციები განიხილავს მოვლენებზე დაფუძნებულ განათლებას ყველა ღონისძიებაზე, სადაც ჩატარდება ტესტირება და სადაც ისინი არიან ტესტის ჩატარებაზე პასუხისმგებლები. სპორტსმენები

და მათი დამხმარე პერსონალი , რომლებიც იღებენ მონაწილეობას ღონისძიებაში უნდა მიიღონ განათლება ღონისძიებამდე. ეს უნდა განხორციელდეს ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტთან, ანტი-დოპინგურ ეროვნულ ორგანიზაციასთან და შესაბამის საერთაშორისო და ეროვნულ ფედერაციებთან.

7.5 ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტი/ ნაციონალური პარაოლიმპიური კომიტეტი

7.5.1 როგორც კოდექსის 20.4.6 მუხლის მიხედვით, სადაც არ არსებობს ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (ან ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი) უნდა იყოს პასუხისმგებელი განათლებაზე, რომელიც ექვემდებარება 7.2 მუხლს .

7.5.2 როდესაც არსებობს ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა (ან ეროვნულმა პარაოლიმპიურმა კომიტეტმა) უნდა ითანამშრომლოს მათ ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციასთან ,რათა უზრუნველყონ ცოდნით სპორტსმენი და მისი დამხმარე პერსონალი, რომელიც არჩეულია ოლიმპიურ/ პარაოლიმპიურ თამაშებზე (ან ნებისმიერ ღონისძიებაზე, სადაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს ან მასპინძლობს) საასპარეზოდ.

7.5.3 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (ან ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი) მოითხოვს, რომ ეროვნულმა ფედერაციებმა განათლების გაზიარება განხორციელონ შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან კოორდინაციით, მე -20 მუხლის მე -4 ნაწილის შესაბამისად.

7.6 რეგიონალური ანტი-დოპინგური ორგანიზაციები

7.6.1 რეგიონალური ანტი-დოპინგური ორგანიზაციები მხარს უჭერენ თავიანთ წევრ ქვეყნებს საგანმანათლებლო პროგრამების წარმართვაში და ხელს უწყობენ განათლებას 21.4.7-ე მუხლის შესაბამისად.

7.6.2 რეგიონალურმა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ ეროვნულ-ანტი დოპინგურ ორგანიზაციებთან, მთავრობებთან და ოლიმპიურ კომიტეტთან (ან პარაოლიმპიურ კომიტეტთან) , მათი რეგიონის ფარგლებში, რათა უზრუნველყონ კოორდინაცია და განათლების პროგრამების მიწოდება.

7.6.3 რეგიონალური ანტი-დოპინგური ორგანიზაციები უნდა იყვნენ ცოდნის ცენტრები თავიანთ რეგიონში, სადაც შეაგ7.როვებენ საჭირო მასალას და ცოდნას ნაციონალური

ანტი-დოპინგური ორგანიზაციის საგანმანათლებლო პროგრამისთვის, და გახდის ამას ხელმისაწვდომს ყველასთვის.

7.7 მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია (WADA)

7.7.1 WADA ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს შეიმუშაონ და უზრუნველყონ ეფექტური საგანმანათლებლო პროგრამები განათლების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

7.7.2 WADA უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალის ხელმისაწვდომობას პასუხისმგებელი ორგანიზაციებისთვის ან სხვა კერძო პირებისთვის.

7.7.3 WADA პასუხისმგებელია უზრუნველყოს განათლების საერთაშორისო სტანდარტის და კოდექსის შესაბამისობის შესრულება პასუხისმგებელი ორგანიზაციების მიერ .

8.0 თანამშრომლობა და აღიარება სხვა პასუხისმგებელი მხარეების

8.1 პასუხისმგებელმა მხარეებმა კოორდინაცი უნდა გაუწიონ თავიანთი განათლების ძალისხმევას, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ დობლირების ფაქტები და გაზარდონ მათი განათლების პროგრამების ეფექტურობა. კერძოდ:

ა) პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ სხვა პასუხისმგებელ ორგანიზაციებთან , როდესაც გეგმავენ თავიანთ სასწავლო პროგრამას.

ბ) პასუხისმგებელი მხარეები წინასწარ შეთანხმდნენ, თუ ეს შესაძლებელია, ღონისძიებაზე დაფუძნებული განათლების როლების და პასუხისმგებლობების შესახებ.

გ) პასუხისმგებელმა მხარეებმა გაუზიარონ თავიანთი სასწავლო პროგრამის მიმოხილვა/ შეჯამება სხვა პასუხისმგებელ მხარეებს მოთხოვნის შემთხვევაში .

8.2 სასწავლო პროგრამების აღიარება

8.2.1 პასუხისმგებელმა მხარეებმა უნდა აღიარონ სხვა პასუხისმგებელი მხარეების მიერ განხორციელებული სასწავლო პროგრამები და აღნიშნული პროგრამის შემსწავლელთა (მათი განათლების აუზში) მიერ პროგრამის დასრულება, იმ პირობით, რომ პროგრამა შესრულებულია მე-5 მუხლის შესაბამისად. სადაც ხდება აღიარება, ეს უნდა ეცნობოს სხვა პასუხისმგებელ ორგანიზაციებს და სასწავლო აუზს. ამ პროცესმა უნდა შეამციროს დატვირთვა სპორტსმენებზე და მათ დამხმარე პერსონალზე და მინიმუმამდე დაიყვანოს განათლების დუბლირება. ეს ასევე შეიძლება დაეხმაროს პასუხისმგებელ ორგანიზაციებს პრიორიტეტების და მათი ძალისხმევის სწორ მიმართვაში, კონცენტრირება მოახდინონ მიზნობრივ ჯგუფებზე.

9.0 ვალდებულებები

9.1 პასუხისმგებელი ორგანიზაციები პასუხს აგებენ შემდეგი წესით :

ა) დოკუმენტური სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს

I) არსებული ვითარების შეფასება;

II) სასწავლო აუზის შექმნა (რომელიც მოიცავს სპორტსმენებს და არ მოიცავს მათ დამხმარე პერსონალს, და როგორ განიხილება ეს მომავალში) ;

III) მიზნები და მიზნებთან დაკავშირებული საქმიანობა;

IV) პროცედურების მონიტორინგი;

ბ) განათლების პროგრამის ყოველწლიური შეფასების დასრულება, მათ შორის განათლების გეგმაში მითითებული ყველა მიზნის სტატუსის მოხსენების ჩათვლით.

გ) კოდექსის შესაბამისობის პროცესი და თანმდევი შედეგები, როგორც ეს მოცემულია ხელმომწერების მიერ კოდექსის შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტში.